ფსიქო-სოციალურ მომსახურების საჭიროება ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამებში: არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

ნინო ხარაიშვილი

„ ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური სამუშაოს მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

სოციალური სამუშაო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2021

განცხადება

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს არ შეიცავს სხვა ავტორების აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მითითებული ან ციტირებული სათანადო წესის მიხედვით.

ნინო ხარაიშვილი

25.06.2021

აბსტრაქტი

შესავალი: დღეისათვის, საქართველოში ნივთიერებაზე დამოკიდებულ ადამიანების ფსიქო-სოციალური მომსახურების არსებობის საჭიროებასთან დაკავშირებით ჩატარებული კვლევები უღრესად მცირეა- ფაქტობრივად, ერთეულებია და ისიც კვლევებში სხვადასხვა საკითხის შესწავლის პარალელურად არის განხილული. განსაკუთრებით ნაკლებად არის გამახვილებული ყურადღება ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამებში ფსიქო-სოციალური მომსახურების როლზე. ეს ფაქტი, ასევე აღნიშნულია საქართველოში ნარკოვითარებასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ ანგარიშებში. მოცემული ნაშრომი ემსახურება სფეროში არსებული ღიაობის შევსებას.

კვლევის მიზნები და ამოცანები: კვლევა მიზნად ისახავს ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამებში ფსიქო-სოციალური მომსახურების სისტემურ ანალიზს-კერძოდ, ამ პროგრამების დადებითი მხარეების შესწავლას და არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას დარგში დასაქმებული სოციალური მუშაკების აზრის გამოკითხვის საფუძველზე. კვლევის ამოცანებია, აღნიშნული მომსახურების საჭიროების კვლევა. წამალდამოკიდებული ადამიანების მოთხოვნის განსაზღვრა ფსიქო-სოციალური მომსახურებებისადმი და მოთხოვნის განმაპირობებელი ფაქტორების დადგენა. დარგში დასაქმებული სოციალური მუშაკების პროფესიული როლის გარკვევა ნარკომანიასთან ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე. სერვისის მიმწოდებელი სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებული ინტერვენციის მეთოდების შესწავლა და მუშაობის პროცესში შექმნილი სირთულების იდენტიფიცირება.

მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდად შერჩეულ იქნა თვისებრივი კვლევა, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდი, რადგან მოცემული საკითხი თვისობრივად შეგვესწავლა და თითოეული რესპონდენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია სიღრმისეულად გაგვეანალიზებინა. სულ გამოიკითხა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის სახელმწიფო პროგრამის 11 სოციალური მუშაკი. მეთოდის შეზღუდვებს წარმოადგენს შერჩევითი ერთობლიობის ერთფეროვნება. გამოკითხვაში არ არის

გათვალისწინებილი დარგში დასაქმებული სახვადასხვა პროგრამის სოციალური მუშაკების დამოკიდებულება, რომლებსაც შესაძლოა განსხვავებული აზრი დაეფიქსირებინათ.

კვლევის შედეგები: კვლევამ გამოავლინა, რომ ნივთიერებაე დამოკიდებული ადამიანები ნაკლებად იფორმირებულები არიან ფსიქოლოგიური და სოციალური მხარაჭერის დადებითი ეფექტების შესახებ, ამიტომ საკმარისად ვერ აცნობიერებენ ფსიქო-სოციალური მომსახურების როლს და საჭიროებას ნარკომანიასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამებში. აღნიშნული ფაქტი განაპირობებს დაბალ მოთხოვნას სერვისისადმი. ინფორმირებულობის დაბალი დონე ასევე განაპირობებს დაბალ მიმღებლობას ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის მომსახურებაზე. კვლევაში გამოიკვეთა ის ფაქტიც, რომ ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციის ცენტრების მიმართ მოთხოვნა დაბალია, სავარაუდოდ, ფინანსური კუთხის გამო. დარგში დასაქმებული სოციალური მუშაკების აზრით, სახელმწიფო სარეაბილიტაციო ცენტრების არსებობა აუცილებელია წამალდამოკიდებული ადამიანების სრულყოფილი მკურნალობისათვის. კვლევის პროცესში გამოიკვეთა ის სირთულეები, რომელსაც დარგში დასაქმებული სოციალურ მუშაკები აწყდებიან, ეს არის ბენეფიციართან მუშაობის დროის სიმცირე და ერთიანი საინფორმაციო ბაზის არ არსებობა.

abstract

Introduction: Currently, there are very few studies on the need for psycho-social services for drug addicts in Georgia. In addition, such researches are conducted in parallel with the study of other types of various issues – not deeply and independently. Particularly less attention is paid to the role of psycho-social services in state programs to combat drug addiction. The fact that there is a lack of research in this area is also mentioned in the annual reports on drug addiction in Georgia. This paper serves to fill the gap in the field.

Research questions and purposes: The aim of the study is a systematic analysis of psycho-social services in state programs to combat drug addiction - in particular: to study the different aspects of these programs and identify the existing challenges based on the qualitative survey of social workers employed in the field; to determine the demand of drug addicts for psycho-social services and to identify its main determinants; to clarify the role of social workers employed in the field at different stages of the fight against drug addiction; to study the intervention methods implemented by the service providers and identify the difficulties created in the work process.

Research methodology: Qualitative research method is used in the studying process – key informant interviews were conducted with employed persons in given field in order to deeply analyze information provided by each respondent. In total 11 social workers from the state opioid replacement therapy program were interviewed. The limitations of the method are the uniformity of the selective set. The survey does not take into account the attitudes of social workers from various programs employed in the field, who may have expressed a different opinion.

The main findings of the research: the study found that the role and need for psycho-social services in state drug addiction programs is not sufficiently understood by drug addicts. Also, their level of awareness about the positive effects of psychological and social support is generally lower, which leads to lower demand for the service. Low levels of awareness also lead to low acceptance of the services of a psychologist and social worker. The study also revealed that the demand for psycho-social rehabilitation centers is low, probably due to financial reasons. According to social workers employed in the field, the existence of state rehabilitation centers is essential for the comprehensive

treatment of drug addicts. The research revealed the main challenge faced by social workers: the lack of time to work with the beneficiary; not existence of unified database.